ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს სტუდენტებს, მოსწავლეებს და პედაგოგებს. ეს დღე განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველკლასელებს და პირველკურსელებს, რადგან მათ ცხოვრებაში ახალი, მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო ეტაპი იწყება. ახალი სასწავლო წელი ყოფილიყოს თქვენთვის ცოდნისა და კიდევ ბევრი გამოცდილების მომტანი. გილოცავთ და გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს!!!

მერაბ ჭანუყვაძე,
გურიის გუბერნატორი

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ძვირფასო პირველკლასელებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო და პედაგოგებო!

ამ დღისთვის ბუნებრივად თანდევია სასიამოვნო განცდები, რადგან ბევრი თქვენგანისთვის დღეს იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი. თქვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა გაკისრიათ, ისწავლოთ და ცოდნა დააგროვოთ, სახელმწიფო კი ყოველთვის ხელს შეგიწყობთ საფუძვლიანი განათლების მიღებაში. სწორედ რომ განათლებული მოვავალი თაობა არის ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარი. გისურვებთ, მიგეღოთ საუკეთესო ცოდნა და გძონოდეთ ცხოვრების ულამაზესი წლები.

დავით დარჩია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო პირველკლასელებს, პედაგოგებსა და მათ მშობლებს. დღევანდელი დღე არის ცოდნისა და გამოცდილების შეძენის დასაწყისი. მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისათვის წარმატებული იქნება. განათლება და განათლებული ახალგაზრდობა ჩვენი რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის წინსვლის წინაპირობაა.

არჩილ ყაზაიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 36 (10230) 18 სექტემბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

საბანკეტო დარბაზი

«ლეგანტი»

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მისამართი. ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №2

გიორგი კვირიკაშვილმა მერობის კანდიდატები წარადგინა

ქ. ოზურგეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გურიის მუნიციპალიტეტებში მერობის კანდიდატები წარადგინა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მერობის კანდიდატების წარდგენის ცერემონიალზე განაცხადა:

„მოგესალმებით მეგობრებო!

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქართველ შემსრულებლებს, ასეთი მშვენიერი განწყობის შექმნისთვის. გურულებთან სტუმრობა და თანაც პოლიტიკაზე საუბარი არ არის მარტივი, თქვენ ძალიან კარგად იცით სწორი არჩევანის გაკეთება. 2012 წლიდან მოყოლებული ეს არის მეხუთე არჩევნები და წინა ოთხ არჩევნებში გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ - დემოკრატიულმა საქართველ-ლომ“. ამისთვის მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ. და მე დარწმუნებული ვარ, რომ გურულებს, კიდევ ერთხელ, აუცილებლად მოუწევთ ჩვენთან ერთად, ყველას ერთად გაერთიანება. ჩვენ ჩვენი ქვეყანა სწორ გზაზე დავაყენეთ და მივდივართ იმ გზით, რომელიც ჩვენი მომავალი თაობების, თითოეული ჩვენი ოჯახის, თითოეული აქ მყოფი ადამიანის კეთილდღეობას განაპირობებს. აუცილებლად, კიდევ ერთხელ გავერთიანდებით და ამ გზას დავუჭერთ მხარს.

პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევძელით ყველაზე მთავარი — მშვიდობის შენარჩუნება და ადამიანზე ზრუნვა. ამ ოთხ წელიწადში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებით, ადამიანებს აღარ ეშინიათ, რომ უსახსრობის გამო ვერ შეძლებენ სამედიცინო მომსახურების მიღებას. თითოეული ადამიანის გადარჩენილი სიცოცხლე, არის

▶▶▶ 33-2

გიორგი კვირიკაშვილმა მერობის კანდიდატები წარადგინა

ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის. ჩვენი ბავშვებისთვის მოწესრიგდა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა - აშენდა და რეაბილიტირდა სბავშვო ბაღები და სკოლები. ეს პროცესი, ახლაც აქტიურად მიმდინარეობს, და რა თქმა უნდა, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარეთ გლეხებს, ფერმერებს, მეწარმეებს. გურიაში, სახელმწიფოს მხრიდან, საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობით, ყოველწლიურად სარგებლობდა 50 ათასამდე გლეხი და ფერმერი, რომლებმაც ჯამში, თითქმის 20 მილიონი ლარის სარგებელი მიიღეს. ამ პროგრამების შედეგად, გავააქტიურედ დაუმუშავებელი სასოფლო სამეურნეო მიწები და აქტივად ვაქციეთ ის. ამას გარდა, დღევანდელი მდგომარეობით, გაცემულია 11 მილიონ ლარზე მეტი სესხი, რაც მოხმარდა მესაქონლეობის, მეფუტკრეობისა და მებაღეობის დარგების ხელშეწყობას. ასევე მნიშვნელოვანია, მიკროგრანტების პროგრამა რომელმაც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ყოფა ჩვენს სოფლად მცხოვრებელ ადამიანებს. პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, დამტკიცდა 20 პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს 100-ზე მეტ ჰექტარზე თხილის, ლურჯი მოცვის, კაკლისა და ვაშლის გაშენებას. ძალას იკრებს ასევე, ჩაის კულტურის რეაბილიტაციის პროგრამა, რომლისთვისაც ამჟამად 300 ათასზე მეტი ლარია გაცემული.

ჩოხატაურსა და ოზურგეთში, გაიხსნა 7 ახალი საწარმო, გაფართოვდა ხილის გადამამუშავებელი 2 საწარმო და გადაიარაღდა 10 არსებული საწარმო.

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთში კიდევ ერთი ახალი საწარმო გაიხსნება, რომელიც მსოფლიოში ცნობილი სავაჭრო ნიშნების შემოსვლას ითვალისწინებს. ეს არის: „ზარა“, „მანგო“, „მასიმო“, „დუტი“ და სხვა მსოფლიოში ცნობილი ბრენდები. საწარმოში დასაქმდება 300-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა 180-მდე პროექტი, რომლითაც 300-მდე მეწარმემ ისარგებლა.

ამ 5 წლის განმავლობაში, გურიაში 130 კმ გზის საფარი დაიგო. მოწესრიგდა ქალაქების ქუჩებისა და სოფლებთან დამაკავშირებელი გზების დიდი ნაწილი. აღდგა და აშენდა ხიდები, მათ შორის, მერია-ლათიურის 150 მეტრი სიგრძის ხიდი. ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში განხორციელდა წყალმომარაგების ქსელისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაწყებულია სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც იქნება ახალი, კომფორტული, და უსაფრთხო ევროსტანდარტის გზა. ეს გზა უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტად დატვირთული, საერთაშორისო მნიშვნელობის გზის გამტარუნარიანობას, უსაფრთხო საავტომობილო მგზავრობასა და შეუფერხებელ სატრანზიტო მიმოსვლას.

ასევე იგეგმება გრიგოლეთი–ფოთისა და გრიგოლეთი–ქობულეთის მონაკვეთების მშენებლობა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს სატრანსპორტო ნაკადმა, ჩქაროსნული ავტომაგისტრალით იმოძრაოს როგორც ფოთის გავლით, ისე პირდაპირ გრიგოლეთი–ქობულეთის მიმართულებით.

გურიაში, ამ ულამაზეს მიწაზე, ბევრი ბუნებრივი სიმდიდრეა - მთის კურორტებიც არის და ზღვისაც. როდესაც მსოფლიოში ისეთი უნიკალური კურორტები გვაქვს, როგორიცაა ბახმარო და ურეკი, ჩვენ ბოლომდე უნდა ავითვისოთ ეს სიმდიდრე, და ხალხისთვის შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. უკვე დავამტკიცეთ ბახმაროს განაშენიანებისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. გასულ წელს, პირველად ისტორიაში, ბახმაროს, როგორც ზამთრის კურორტმა, უმასპინძლა ტურისტებს. გერმანელმა ინვესტორებმა, კურორტზე ზამთრისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოაწყვეს. ასევე, იგეგმება სასტუმროს აშენება, რაც 4-ჯერ გაზრდის ზამთრის სეზონზე ტურისტების რაოდენობას.

უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამორჩეული სამთო კურორტი გომისმთა. კურორტ გომისმთაზე შენდება წყალმომარაგების სისტემა და იგეგმება კურორტის სრული ელექტრიფიკაცია. როდესაც იქ იქნება წყალი და დენი, და ასევე დაიგება გზა, ეს შექმნის პირობას დამსვენებლებისა და ტურისტების გახდება მიმზიდველი ადგილი. დარწმუნებული ვარ, გომისმთაც მალე გახდება დამსვენებლებისათვის ერთ-ერთი საყვარელი და კომფორტული ადგილი.

ყველამ იცით, რომ სულ ახლახან, შეკვეთილში გაიხსნა უნიკალური საკონცერტო დარბაზი, 300-მდე მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიცია განხორციელდა. დღეს ეს დარბაზი სრული დატვირთვით მუშაობს, და მსოფლიო ვარსკვლავებს მასპინძლობს. აქ ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „ჩეკინ ჯორჯიას“ ფარგლებში გამართული არაჩვეულებრივი ღონისძიებები ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით. შეკვეთილში ასეთი დარბაზის აშენება, ბიძინა ივანიშვილის იდეა იყო, რომ რეგიონის განვითარებისათვის შეეწყო ხელი. ეს დარბაზი სწორედ ბატონი ბიძინას ინიციატივით გადაეცა სახელმწიფოს, მაგრამ, პირველ რიგში, ეს არის საჩუქარი ამ რეგიონისთვის, გურიისა და გურულებისთვის. იცით, რომ ამ მასშტაბის კონცერტებს თან ახლავს ათასობით მაყურებელი, რომელსაც სათანადო ინფრასტრუქტურა სჭირდება.

ასევე ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, აშენდა შეკვეთილში თანამედროვე დიზაინის სარკინიგზო ბაქანი, მოეწყო მუსიკოსების სკვერი, რაც უნიკალურია ჩვენი ქვეყნისთვის. შეკვეთილში აშენდა ისეთი შადრევანი, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. აშენდა პარკი, რომელშიც მინიატურების სახით არის წარმოდგენილი ქარ-თული კულტურისა და ისტორიის ძეგლები.

5-ვარსკვლავიანმა სასტუმრომ, რომელიც ასევე ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფინანსებით, თანაინვესტირების ფონდმა ააშენა, უკვე დაიწყო სატესტო რეჟიმში მუშაობა. ამ პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 80 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ასევე, შეკვეთილში, განხორციელდა ჩეხურ-სლოვაკური პროექტი, რომელიც სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის ბინებს აერთიანებს. უკანასკნელ სამ წელიწადში, გურიაში გაიხსნა 26 სასტუმრო, და ორ წელიწადში, მათ კიდევ 35 ახალი სასტუმრო შემატება.

ასეთი სასტუმროები და ტურისტული ადგილები, რა თქმა უნდა, როგორც ქართველი მნახველების, ისე ტურისტების დაინტერესებას იწვევს, და ზრდის მათ რაოდენობას, რასაც ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება. საბოლოოდ, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ გურიის მოსახლეობას, კერძო სექტორს მიეცეს საკუთარი ბიზნესის წამოწყების, გაფართოებისა და დამატებითი შემოსავლის მიღების რეალური შესაძლებლობა.

დარწმუნებული ვარ ჩვენს ხალხს აქვს ჩვენი რწმენა. ხედავს ძალას, რომელიც გააჩნია „ქართულ ოცნება -დემოკრატიულ საქართველოს“ და თვითმმართველობის არჩევნებში ჩვენ აუცილებლად ერთად მიიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც განაპირობებს ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას, თითოეული თქვენგანის გამარჯვებას და თითოეულ ოჯახში კეთილდღეობას.

ახლა, წარმოგიდგენთ ქართული ოცნების მერობის კანდიდატებს, რომლებსაც „ქართული ოცნება“ სრულ ნდობას უცხადებს. ოზურგეთი მერობის კანდიდატი - **ბეგლარ სიორიძე** ლანჩხუთის მერობის კანდიდატი - **ალექსანდრე სარიშვილი** ჩოხატაურის მერობის კანდიდატი - **ირაკლი კუჭავა** მივესალმოთ ამ ადამიანებს და წარმატება ვუსურვოთ მათ, იმ საქმეში, რომ იზრუნონ თითოეული ადამიანის ყოფის გაუმჯობესებაზე, თქვენს კეთილდღეობაზე და იმისათვის, რომ ჩვენ გურიაში ყოველთვის ვნახოთ გაღიმებული ხვალინდელი დღის იმედის მქონე ადამიანები. მეგობრებო, ჩვენს ერთობლივ გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის უკეთეს ხვალინდელ დღეს და ჩვენი ქვეყნის თითოეული ოჯახის კეთილდღეობას გაუმარჯოს. დიდი მადლობა ამ მხარდაჭერისთვის.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ბეგლარ სიორიძემ ახალი სასწავლო წლის დაწყება ქალაქ ოზურგეთის სამრევლო სკოლების მოსწავლეებს პირადად მიულოცა

ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ ახალი სასწავლო წლის დაწყება ქალაქ ოზურგეთის სამრევლო სკოლების მოსწავლეებს პირადად მიულოცა.

ქალაქის მერი წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობისა და წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლებს ესტუმრა და სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს დაესწრო.

როგორც ბეგლარ სიორიძემ განაცხადა, განათლებული თაობა ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტია. აღნიშნული სკოლების მოსწავლეები, როგორც სასკოლო პერიოდში, ასევე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მაღალი შედეგებით გამოირჩევიან.

„ვულოცავ ყველას, მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს, სასწავლო წლის დაწყებას. თუმცა დღევანდელი დღე ყველაზე მნიშვნელოვანია იმ პატარებისთვის, რომლებმაც დღეს შეაღეს სკოლის კარი და ცხოვრებაში პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯს დგამენ. ამიტომ განსაკუთრებულად სწავლის დაწყებას სწორედ პირველკლასელებს ვულოცავ. ყველა თქვენგანს წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!“

ბოხვაური-შემოქმედის გზის მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო

გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ, დღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბოხვაური-შემოქმედის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

მიმდინარეობს 4კმ. და 900 მ. სიგრძის საავტომობილო გზის მშენებლობა.

სამუშაოებით გათვალისწინებულია სანიაღვრე არხებისა და მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებთან გადასასვლელების მოწყობა.

პროექტი 3 ეტაპიანია. გზის ნაწილი გასულ წელს მოასფალტდა, წელს მიმდინარეობს 2 კმ. და 587 მ. სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

აქტიურ ფაზაშია დაზიანებული და ამორტიზებული 21 მ. სიგრძის ხიდის აღდგენითი სამუშაოებიც. ხიდის მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60 000 ლარზე მეტი გამოიყო.

პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 792 995 ლარს შეადგენს .

– „დავათვალიერეთ ბოხვაური-შემოქმედის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აქ ადგილობრივებს უგზოობის პრობლემა 30 წლის განმავლობაში აწუხებდა. პროექტი სრულად მომავალ წელს დასრულდება და მოსახლეობისთვის გადაადგილება მეტად კომფორტული გახდება"– აღნიშნა გუბერნატორმა.

რა ბიზნესინტერესი აქვთ ვალერი ჩიტაიშვილს და გია ტაკიძეს ოზურგეთში?

ნუგზარ ასათიანი

ამ სტატიის მომზადების იდეა ქ. ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე დამებადა, როდესაც ქალაქის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების საკითხს განიხილავდნენ. ცალკეულ უბნებში საარჩევნო მასალების განთავსება ძირითადად გარე განათების ბოძებზე, ა(ა)იპ-ების ღობეებსა და მგზავრთა მოსაცდელებზეა შესაძლებელი. ექადიის №10 საარჩევნო უბანში, თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე მგზავრთა მოსაცდელი ამ სიაში არ იყო. დავინტერესდით, მით უმეტეს მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია მყარი ნარჩენებითაა მოზვინული. მანამდე კი აქ ერთსართულიანი შენობის დემონტაჟი მოხდა.

საჯარო რეესტრის ამონაწერით აღნიშნული ტერიტორია, 1819 კვადრატული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს, **გია ტაკიძეს** ეკუთვნის. ამონაწერის მიხედვით შენობა-ნაგებობის ჩამონათვალში ორი შენობა-ნაგებობაა მითითებული: პირველის საერთო ფართი 162,80 კვ. მეტრია, ხოლო მეორის განაშენიანების ფართი - 22,5 კვადრატული მეტრი.

მყარი ნარჩენების რაოდენობა იმდენად ბევრია, რომ მიმდებარე ბავშვთა საფეხბურთო მოედანზე პატარები, მტვერისა და ბუღის, ნარჩენებს მისეული ბუზებისა და სხვა მწერების გამო ფეხბურთს ვერ თამაშობენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გია ტაკიძე ექადიაზე ბენზინგასამართ სადგურს აშენებს.

თუ რა ხდება ამ უბანში, თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლებს გავესაუბრეთ:

ხათუნა ცირეკიძე, დიასახლისი, 5 შვილის დედა: ჩვენ დიდი ომი გადავიტანეთ შპს „მანსაროვართან“ და „ჯეოგადამამუშავებელთან“, რომლებიც ჩვენს უბანში ტყვიის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებდნენ. ოთხწლიანი პროტესტის შემდეგ მთავრობამ მათ ამ პროექტის განხორციელების თანხმობა არ მისცა.ახლა წარმოიდგინეთ, ჩვენს უბანში არის 3 ბენზინგასამართი და 2 გაზგასამართი სადგური, კიდევ ბენზინგასამართი სადგური უნდა აშენდეს? ბენზინგასამართი სადგურები ძირითადად აზერბაიჯანიდან შემოტანილ საწვავს ჰყიდიან, რომელშიც დიდია ტყვიის შემცველობა. რა გამოდის, ახალი „მანსაროვარი“ მოდის?

ნახეთ რა მდგომარეობაა, ნარჩენები ოზურგეთი-ლიხაურის გაზსადენზეც კია დაყრილი. მხოლოდ ნარჩენების სათავსოა ჩვენი უბანი?

თინა ბარამიძე, პენსიონერი, 85 წლის: ეს ნარჩენები თითქმის ჩემი სახლის მოპირდაპირედაა და იქედან მტვერი და ნაგვის სუნი არ გვასვენებს. რატომ გახდა სანაგვე ჩვენი უბანი?

იმდენი ნარჩენია შემოზიდული, ცაში ასვლას ხომ არ გეგმავს, ვინც ამას აკეთებს. კიდევ ბენზინგასამართი სადგური? უნდათ დაგვწამლონ. აგერ მეზობელი ამდენი ხმაურის, მტვერისა და ნაგვის გამო წავიდა ამ უბნიდან. მომავალში ალბათ სხვებიც წავლენ. ვხედავ მგზავრთა მოსაცდელის ერთი მხარე გამონგრეულია.არაა საჭირო? უნდა დაშალონ? ნუთუ არაფერი ეკითხება ხალხს..

გია გაზაშვილი, დროებით უმუშევარი: –ბენზინგასამართი თუ სხვა ობიექტების გახსნას ჩვენ ვინ გვკითხავს. ეს დრო წავიდა. ნამდვილად არ გვინდა კიდევ ერთი ბენზინგასამართი სადგური. რომ უბედური შემთხვევა მოხდეს, იმდენად ახლოსაა დასახლებასთან ამ უბანს ცაში აიტანს.

ამას მეორე პრობლემა ემატება: იმის გამო, რომ სიჩქარის დამგდები მოწყობილობა არ დაამონტაჟეს ქუჩის დასაწყისსა და ბოლოში, მანქანები აქ დიდი სისწრაფით მოძრაობენ. კი დახაზეს გადასასვლელები, მაგრამ ქუჩაში გადასვლა პრობლემაა. ამის მოგვარება არ შეიძლება?

ხომ შეიძლება პატრულმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს დაუსაბუთოს, რომ აქ აუცილებელია სიჩქარის დამგდებების მოწყობა?

ნაირა გოგბრონიძე - თოდრაძე, დიასახლისი: –ბენზინგასამართი სადგურის აგებას არა მარტო მანდ, არამედ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ჩემი ეზოს წინ აპირებენ. ამას წინათ იყვნენ მოსული მზომავები და არქიტექტორები. ეზოდან გადავედი და ვუთხარი: არ გვეყოფათ ამდენი ბენზინისა და გაზგასამართი სადგური? ვიცი, რას გააკეთებენ. ჩვენ არავინ გვეკითხება რაიმეს გადაწყვეტილებების მიღებისას.

ცისანა ჩანტლაძე, პენსიონერი: – რა ხდება? რატომ გვაყრიან თავზე ამდენ ნაგავს? ბენზინისა და გაზის 5 სადგური გვაქვს და კიდევ ახალი უნდა აშენდეს. ჩვენ არ ვართ ხალხი? გახსოვთ ალბათ, რამდენი ვიბრძოლეთ „ჯეოგადამამუშავებელს“ მანქანის აკუმულატორების გადამუშავება რომ შეეწყვიტა.

ამ უბნის ბავშვებმა თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს სთხოვეს სპორტული მოედნის აშენება. სწორედ გია ტაკიძის გამგებლობის დროს გაკეთდა ეს მინისტადიონი. ახლა იქ როგორ ითამაშებენ ბავშვები? ცალკე თემაა, როგორი დიდი სიჩქარით მოძრაობენ ავტომობილები ამ ქუჩაზე და არ მოხერხდა მათი სიჩქარის შეზღუდვა. პატრული კი მოძრაობს, მაგრამ მუდმივად აქ ხომ არ იქნებიან.

ექადიელებმა ისიც აღნიშნეს, რომ თუ ტაკიძე აქ კარგ ობიექტს გააკეთებს, მიესალმებიან, ოღონდ მგზავრთა მოსაცდელს არ უნდა შეეხოს.

გია ტაკიძე, ბიზნესმენი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი: – ვდასტურებ, რომ თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჩემი საკუთრებაა და იქ გარკვეული დანიშნულების ობიექტის აგებას ვგეგმავ,რომელიც სასარგებლო იქნება როგორც ქალაქისთვის, ისე მოსახლეობისთვის. მე არ ვაპირებ იქ ბენზინგასამართი სადგურის აგებას. თუ რას ვაპირებ, ამ ეტაპზე ვერ დავკონკრეტდები, რადგან რამდენიმე ვარიანტს განვიხილავთ.

მე მოვახდინე იქ ერთსართულიანი შენობის დემონტაჟი და საჭირო სიმაღლეზე მოვზვინე მიწა, რომელიც შემდეგ გავასწორე და ფოტოებიც მაქვს გადაღებული. რატომღაც,სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციები აქ სამშენებლო ნარჩენებს ეზიდებიან. თუ ვის მიაქვს, არ შევსწრებივარ, მაგრამ ვიცი, აქ მიიტანეს ნარჩენები ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სარემონტო სამუშაოების შემსრულებლებმა. აქ ყრიან არა მარტო სამშენებლო ნარჩენებს, არამედ პლასტმასისა და სხვა ნარჩენებს. ჩვენ ამის შესახებ ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურს მივწერეთ, მაგრამ მათგან რეაგირება არ ყოფილა.

გია ტაკიძემ დაადასტურა, რომ თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე მგზავრთა მოსაცდელი მიწის ნაკვეთთან და იქ მდგარ შენობა-ნაგებობასთან ერთად ქ. ოზურგეთის მერიისაგან შეიძინა.

თემურ ჯახვა, შპს „გზამშენი 18“ უფროსი: **მგზავრთა მოსაცდელები სახელმწიფო საკუთრებაა და იგი საგზაო დეპარტამენტის განკარგულებაშია. მისი ყიდვა-გაყიდვა ან სხვა ფორმით გასხვისება დაუშვებელია. თუკი ვინმეს რაიმე შეეშალა, დროულად უნდა გაასწოროს.!**

* * *

ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარეობს ოზურგეთის მუსიკალური სკოლა, სადაც 200-მდე მოსწავლე ეუფლება მუსიკალურ ხელოვნებას. სკოლა გარემონტობელია და მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება. ამ სკოლის პრობლემა მცირე საკონცერო დარბაზია. ასევე მომავალში სკვერის მოწყობასაც გეგმავდნენ, თუმცა რამდენიმე დღის წინ მუსიკალური სკოლის ეზოს ნაწილი შემოღობეს. ამ შემთხვევაშიც საჯარო რეეტრის მონაცემები ვნახეთ.

ოზურგეთის მუსიკალური სკოლას ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე 976 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ეკუთვნის, საიდანაც გაშენების ფართი 286 კვადრატული მეტრია. ამ უფლების დამადასტურებელია: მიმართვა №66, დამოწმების თარიღი 13.06. 2014, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ბრძანება №145, დამოწმების თარიღი 27.05. 2014, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი; ხელშეკრულება №22, დამოწმების თარიღი 27.05.2009, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საკითხის შესწავლისას მუსიკალური სკოლის დირექტორს **ლელა შარაშენიძეს** გავესაუბრეთ:

–ხელისუფლებამ სკოლა გაარემონტა და ნამდვილად უკმაყოფილო არ ვარ მათ მიმართ. გვინდოდა მომავალში გავფართოებულიყავით და ახალი საკონცერტო დარბაზი გვქონოდა. ხშირად ესწრებით ჩვენს კონცერტებს და თავადაც ხედავთ უფრო დიდი დარბაზია საჭირო.

ჩვენ 976 კვადრატული მეტრი მიწის ფლობის დამადასტურებელი საბუთები გვაქვს.

–სანამდეა თქვენი კუთვნილი მიწის ფართობი, –შევეკითხე.

ქალბატონმა ლელამ „თი-ბი-სი“ ბანკის ოზურგეთის ფილიალსა და სკოლის შენობის გვერდით მდებარე ნიგვზის დიდი ხე დამანახვა.

–ამ ხეს იქით–მიპასუხა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით კი გურიის ყოფილ გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს 2011 წლის 29 მაისს საჯარო რეესტრში 100 კვადრატული მეტრი არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი აქვს გაფორმებული, რომელიც სწორედ „თი-ბი-სი“ ბანკსა და მუსიკალური სკოლის შენობის შორისაა მოქცეული.

ვალერი ჩიტაიშვილი, გურიის ყოფილი გუბერნატორი: –ეს მიწა მე 2001 წელს აუქციონზე შევიძინე, მაშინ არც გამგებელი ვიყავი და საჯარო სამსახურში არ ვმუშაობდი.

–ხომ ვერ მეტყვით რა დანიშნულების ობიექტს ააგებთ. ბანერი არ არის გამოკრული. ორი დღის წინ ე.წ. „საზღვარი“, ნიგოზიც მოჭრეს..

–ბანერი იყო, ეტყობა ვიღაცაებმა აიღეს. სჯობს ქალაქ ოზურგეთის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურს მიმართოთ. იქ გეტყვიან, თუ რისი გაკეთებას ვაპირებ მანდ -მოკლედ მოგვიჭრა ვალერი ჩიტაიშვილმა.

ჩვენ დაწვრილებითი საჯარო ინფორმაციისათვის ქ. ოზურგეთის მერიის შესაბამის სამსახურს მივმართეთ.

„ბატონო ნუგზარ,

თქვენს მიერ გამოგზავნილი განცხადების (06.09.20170 პასუხად გაცნობებთ, რომ მოქალაქე გიორგი ტაკიძემ მიმდინარე წლის 20 მარტს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა და მოითხოვა ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე , მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 26.26.52.038) განთავსებული 180,1 და 22,5 კვმ განაშენიანების მქონე ერთსართულიანი შენობების დემონტაჟის ნებართვა. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნული ნებართვა კანონმდებლობის შესაბამისად გასცა.

ასევე, მიმდინარე წლის 23 მაისს, მოქალაქე ვალერიან ჩიტაიშვილმა განცხადებით მომართა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ქ. ოზურგეთში გ. ეპისკოპოსის ქუჩაზე მის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (26.26.1310 საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის საამსენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება.

რაც შეეხება ქ. ოზურგეთში, ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სკოლის ეზოს, აღნიშნული ობიექტი არ არის შემოღობილი“.

პასუხგაუცემელი დარჩა კითხვები თუ რის აშენებას აპირებენ გია ტაკიძე და ვალერი ჩიტაიშვილი ოზურგეთში. ჩვენ გავითვალისწინეთ ვალერი ჩიტაიშვილის რჩევა და ქ. ოზურგეთის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსს **მამუკა მახარაძეს** რამდენჯერმე დავურეკეთ. მან ჩვენს სატელოფონო ზარებს არ უპასუხა.

ძმები ზურაბიანები – ზურაბი, ვალერი, იური

თემურ მარშანიშვილი

ეს იყო კარგა ხნის წინათ. თბილისიდან ოზურგეთში მოვდიოდი მატარებლით. კუპეში ერთი ახალგაზრდა მეორეს უყვებოდა ცხელ ამბავს, რომ სოფელ ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვეს და თვით დედაქალაქის გუნდი მოიტოვეს უკან. დაუჯერებელი მეჩვენა და გავატარე. სხვათა შორის, მაშინ პირველად გავიგონე ამ მოჭიდავეთა მწვრთნელების, ძმები ზურაბიანების შესახებაც. ორიოდე კვირის წინ, ეს ამბავი ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის ხელმძღვანელთან, გოჩა კვანტალიანთან მოვყევი. მართალი უთქვამთ იმ ბიჭებს, იყო ასეთი სასიამოვნო ისტორია, – მითხრა გოჩამ და მეორე დღეს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციის 1991-1992 წლების საინფორმაციო ცნობარი რედაქციაში მომიტანა. ასე რომ, ფაქტის სიჯიუტეს ვერ გავექეცი: ამ ცნობარში სოფელი ოზურგეთი პირველია, თბილისი – მეორე და ოზურგეთი - მეექვსე.



საპრიზო ადგილები განაწილდა

1991	რეგიონი	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
	ქალაქებსა და რაიონებს შორის				
1.	სოფ. ოზურგეთი	3	3	1	7
2.	თბილისი	3	1	1	5
3.	წყალტუბო	2	1	–	3
4.	სამტრედია	1	2	2	5
5.	რუსთავი	1	1	2	4
6.	ოზურგეთი	1	1	1	3
7.	ბათუმი	–	1	1	2
8.	საგარეჯო	–	1	–	1
9.	ბორჯომი	–	–	2	2
10.	გარდაბანი	–	–	1	1
	სულ:	11	11	11	33

ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის ხელმძღვანელის თქმით, ზურაბიანები ოზურგეთში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ხერხემალს წარმოადგენენ:

„პატარა ბიჭი რომ ვიყავი და ვვარჯიშობდი, მაშინ მესმოდა ამ ძმების შესახებ, ყოველთვის მჯეროდა და დიდი სიყვარულიც მქონდა მათი. მერე ბედმა გამიღიმა, რომ ამ ხალხთან ერთად მუშაობის შეესაძლებლობა მომეცა. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, როგორც კი ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ყველაზე დიდ იმედებს სწორედ ზურაბიანებზე ვამყარებ. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს ზურაბ ზურაბიანი ჩვენთან მთავარი მწვრთნელია. პირდაპირ გეტყვით, ზურაბიანები ოზურგეთში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ხერხემალს წარმოადგენენ“.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, არ ვიქნებოდი მართალი, რომ ძმები ზურაბიანების შესახებ ერთი საგაზეთო მასალა არ მომემზადებინა.

ზურაბი, ვალერი და იური ბავშვობაში ვარჯიშობდნენ კლასიკური (დღევანდელი ბერძნულ-რომაული) ჭიდაობის სექციაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ კაკო თავართქილაძესთან. იყვნენ საქართველოს ნაკრების წევრები. განსაკუთრებით მაინც უმცროსი ძმა იური უნდა გამოვყოთ, რომელიც გახლდათ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, არაერთ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი...

თვით ზურაბი და ვალერი თავიანთ უმცროს ძმას ასე იხსენებენ: „როგორც მწვრთნელებმა, რა რანგის ჩემპიონი არ გავზარდეთ, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ისეთი ძლიერი, შეუპოვარი და ტალანდი, როგორიც იური“.

უმაღლესი სპორტული განათლების მიღების შემდეგ, სამივე ძმამ 80-იანი წლების ბოლოს უაღრესად დიდი მონდომებითა და ფანატიზმით დაიწყეს მწვრთნელობა. დიდ შრომას შედეგიც მოსდევს, საქართველოს ნაკრების ნახევარზე მეტს მათი მოსწავლეები შეადგენდნენ. ეს ის დრო იყო, საბჭოთა კავშირი იშლებოდა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია გამოეყო მაშინდელ საკავშირო ჭიდაობის ფედერაციას. ინიშნებოდნენ საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელები სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიოში ცნობილი ქართველი ტიტულოვანი მოჭიდავეები, ნაკრების უფროს მწვრთნელად მაინც უფროსი ძმა ზურაბი აირჩიეს. დაიდო შედეგიც. 1992 წელს, სტამბულში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, პირველად მიიღო მონაწილეობა და ყველასათვის მოულოდნელად I ადგილი დაიკავა. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელს საერთოდ არ გაეგონა საქართველო.

ვალერი ზურაბიანი იგონებს: „მე თვითონ მოვისმინე, რუსი მწვრთნელი ეკითხებოდა ბულგარელ კოლეგას, – გუნდურში „ჯორჯია“ ხომ პირველზეაო. კიო, ბულგარელმა. „ა, გრუზიაო“? ბულგარელმა მხრები აიჩეჩა, არ ვიციო. ბევრმა არ იცოდა, რომ „ჯორჯია“ და „გრუზია“ ერთი ქვეყანა, საქართველო იყო. ჩვენი ქვეყნის გუნდურ I ადგილში ლომის წვლილი შეიტანეს სოფელ ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა. ბესარიონ ზურაბიანი ჩემპიონი გახდა, კობა ბალავინოვმა და თენგიზ სირაძემ კი ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ეს იყო ერთი პატარა სოფლის ჭიდაობის სექციიდან მიღწეული შედეგი.

ასეთი წარმატების გამო, სოფელი ოზურგეთი რესპუბლიკურ პირველობებზე ცალკე გუნდად იქნა გამოძახებული იმდენიმე სპორტსმენით, რამდენითაც ქუთაისისა და ბათუმის გუნდები. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოზურგეთის ერთი პატარა სოფლის გუნდი ფინანსდებოდა ისე, როგორც საქართველოს დიდი ქალაქების გუნდები. ცალკე გუნდად გამოძახებულმა სოფელ ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა 1992 წლის რესპუბლიკურ პირველობაზეც დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე, როცა უკან მოიტოვეს როგორც თბილისის, ისე ყველა რაიონის გუნდები“.

თბილისის ფიზიკური კულტურის ლექტორი, პროფესორი ავთანდილ ციბაძე სპეციალურად ჩამოვიდა ოზურგეთში, რათა საკუთარი თვალით ენახა ის, რასაც ძმებ ზურაბიანებზე ყვებოდნენ. სამი დღე დაჰყო ოზურგეთში. ნახა საკარჯიშო დარბაზები, გაეცნო მოჭიდავეებს, მშობლებს, ესაუბრა ადგილობრივებს. შემდეგ სპორტულ გაზეთ „ლელოში“ ერთი გვერდი მთლიანად დაუთმო მის სტატიას „საოცნებო სინამდვილე“, სადაც ემოციურად აღწერა თავისი შთაბეჭდილებები.

ზურაბიანებს ყველაზე ძლიერი კონტიგენტი იმ პერიოდში ჰყავდათ, როცა ქვეყანაში მიმდინარეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლები, ძმათამკვლელი ომი თვით ქართველთა შორის. მაშინ იმ მოვლენებს ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. და იმ ფონზე რა მოსატანია, რომ ბევრი ტალანტი და ნიჭიერი მოჭიდავე დაიკარგა შედეგის გარეშე. და მაინც, ზურაბიანების აღზრდილებში მრავლად არიან ისეთები, ვინც ევროპის და მსოფლიოს პირველობებზე თავი გამოიჩინეს: ბესარიონ ზურაბიანი, კობა ბალავინოვი, თენგიზ სირაძე, თემურ თხილაიშვილი, ლაშა ლომაძე, ამ ბოლოს დავით ჩხარტიშვილი, რომელიც შარშან ევროპის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის, წელსაც მესამე ადგილი მოიპოვა ევროპის პირველობაზე. ჩხარტიშვილს, ზურაბიანს, ბალავინოვსა და ლომაძეს ევროპის და მსოფლიოს პირველობებზე 13 მედალი აქვთ მოგებული.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ყოფილი სსრკ პირველობები, რომელიც, ძმები ზურაბიანების თქმით, გაცილებით ძნელი მოსაგები იყო, ვიდრე ნებისმიერი შეჯიბრი. ზურაბიანების აღზრდილთა შორისაა ბრწყინვალე მოჭიდავე დავით სირაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლდათ ჭაბუკთა შორის. ასევე შეუდარებელი იყო იაგო ბოკუჩავა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ახალგაზრდებს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილებიდან არც ერთს არ ჰქონდა საქართველოს პირველობა იმდენჯერ მოგებული, რამდენჯერაც თენგო მელუას – 14-ჯერ! დავით დოლიძეს –12-ჯერ! ან როგორი იყო ელისე ჩხარტიშვილი?! საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე ფინალში გადასავლელი შეხვედრის დროს, მაღალი სიცხის გამო, მხედველობა დაკარგა, მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდა, მსაჯის სასტვენი არ ესმოდა... სასწრაფო დახმარების მანქანით ხალიჩიდან პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს.

სამწუხაროდ, ბევრი ჭიდაობაზე შეყვარებული და მონდომებული სპორტსმენი ტოვებს სპორტს ტრავმების გამო, ერთ-ერთი ასეთი იყო ბექა როყვა. ის გახლდათ ნამდვილი ტალანტი, ნიჭიერი, უჭკვიანესი მოჭიდავე, მაგრამ გამუდმებულმა ტრავმებმა არ მისცეს საშუალება ბოლომდე გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. ზურაბიანები თავიანთი აღზრდილებიდან სწორედ როყვას მიიჩნევენ ყველაზე წარმატებულად, რამეთუ ის დღეს არის საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, გუნდისა, რომელსაც, ბექა როყვას ხელმძღვანელობით, ძალუძს დაიპყროს ოლიმპიური და მსოფლიო მწვერვალები.

მარტო წლეულს აზერბაიჯანის, თურქეთის, ბულგარეთის, რუსეთის, ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირებზე ზურაბიანის მოსწავლეებს – გ. გუჯაბიძეს, ი. ლომაძეს, დ ბაკურაძეს, გ. თოხაძეს, და ჩხარტიშვილს, ც. ცინცაძეს 12 სხვადასხვა სინჯის მედალი აქვთ აღებული.

სპორტდარბაზი „ფალავანი“, სადაც ძმები მოჭიდავეებს ავარჯიშებენ, ერთ დროს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მაშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ხელმძღვანელობდა ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ზაზა სიორიძე. ის ცნობილი მოჭიდავის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის იური სიორიძის შვილია და ჭიდაობას შეძლებისდაგვარად ყოველთვის ეხმარებოდა. ძმებს ურემონტებდა დარბაზს და ქველმოქმედების სახით, მრავალი წლის მანძილზე ხელფასსაც აძლევდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს დარბაზს არ აქვს ფანჯრები, კედლები ჩამოშლილია. ელექტროენერგიისა და წყლის ფულს თვითონ ზურაბიანები იხდიან. მიუხედავად მაღალი სპორტული შედეგებისა, მათ მცირე ხელფასი ჰქონდათ, სხვებთან შედარებით. ძმები დიდად ემადლიერებიან ქალაქის მერს, ბეგი სიორიძეს, რომელმაც მერობის საწყის პერიოდშივე მასთან მიიწვია სპორტის თანამშრომლები, გაეცნო მათ საჭირბოროტო საკითხებსა და პრობლემებს, დაპირდა გადაწყვეტას. ზურაბიანების მიმართ კი გამოთქვა მოსაზრება, რომ მათ უნდა ჰქონოდათ ყველაზე მაღალი ხელფასი. შეასრულა კიდეც. ამავე დროს დაავალა ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის სამსახურის ხელმძღვანელს გოჩა კვანტალიანს, რომ ჭიდაობა გამოეცხადებინა პრიორიტეტად და ყველანაირად შეეწყო ხელი სპორტის ამ სახეობისათვის.

ზურაბ და ვალერი ზურაბიანების თქმით, ოზურგეთში სპორტს ყოველთვის ღირსეული ხელმძღვანელები ჰყავდა, მათ შორის კი გამორჩეულია დღევანდელი თავკაცი გოჩა კვანტალიანი:

„ბატონი გოჩა კვანტალიანი გამორჩეულია იმით, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მიერ დაგეგმილი არც ერთი ღონისძიება არ იქნეს გამოტოვებული და ყველგან იქნენ მივლინებული ოზურგეთელი მოჭიდავეები. ცდილობს, სპორტდარბაზები იყოს უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით. ოზურგეთში ისე გაიზარდა მოჭიდავეთა თაობები, რომ საჭიდაო ჩუჩელები მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოედგინათ. მან კი ეს საკითხი მყისიერად მოაგვარა, 24 საათში გადაწყვიტა ეს საკითხი. დაუკავშირდა ჭიდაობის ფედერაციას და მეორე დღეს თბილისიდან ფედერაციის მანქანითვე ჩამოტანილი სამი საჭიდაო ჩუჩელა გოჩას კაბინეტში ეწყო“.

ახლაც, როცა ეს წერილი საგაზეთოდ მზადდება, სპორტდარბაზ „ფალავანში“ პატარა ბიჭები ერთმანეთს ეძიძგილავებიან, დიდები კი ერთურთს ერკინებიან, დროდადრო ისმის ხალიჩაზე დახეთქების ხმა, ყიჟინა, შენიშვნა, მოწონება. აქ ფალავანთა სამჭედლოა, აქ ზურაბიანები ახალ ჩემპიონებს ზრდიან.

გერმანული უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის მაგისტრანტები გოგიეთის ეკომუზეუმის გაცნობით აღფრთოვანებული დარჩნენ

თემურ მარშანიშვილი

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, გურიის რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გურიის გუბერნატორის მერაბ ჭანუყვაძის ოფიციალური მოწვევითა და საკონსულტაციო კომპანია „ბრენდორ ქონსალთინგის“ ორგანიზებით, რეგიონს სტუმრობს ინგოლშტადტის (გერმანია) უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტიდან 25 ეკონომ-გეოგრაფი მაგისტრატურის სტუდენტი. პროფესორ ჰერალდ ფეჰნარელისა და ჰანეს თეესის ხელმძღვანელობით.

როგორც ჩვენთან საუბარში სოსო ერქომაიშვილმა (გურიის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ საქმის წამოწყებაში) თქვა, ესენი არ არიან მხოლოდ სტუდენტები და ტურისტები. ამ ახალგაზრდების მიზანია, სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში, გურიაში ტურისტული ადგილების პოტენციალის საფუძვლიანი კვლევა და ამ კვლევების რეკომენდაციების სახით დადება, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება გურიაში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

ჩამოსვლის პირველივე დღეს გერმანელი სტუმრები სამ ჯგუფად გაიყო და შეუდგნენ შესაბამის საქმიანობას. ერთ-ერთი ჯგუფი გასულ სამშაბათს, 12 სექტემბერს სოფელ მაკვანეთში (გოგიეთში) ჯანვერდი ცეცხლაძის ეკომუზეუმს ეწვია და ყოველგვარი შელამაზების გარეშე რომ ვთქვათ, გერმანელი მაგისტრანტები ნანახით აღფრთოვანებული დარჩნენ.

როგორც თარჯიმანმა გვითხრა, ევროპელმა სტუმრებმა ბატონი ჯანვერდი ცეცხლაძის რუდუნებით შექმნილი ეს ეკოსისტემა წალკოტს შეადარეს, რომლის მსგავსი ტურიზმის კლასიკურ ქვეყნებშიც კი იშვიათია.

მასპინძელმა მოუთხრო სტუმრებს ეკომუზეუმის შექმნის შესახებ, ესაუბრა მის დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ ის, რომ ამ საქმეში ჩართული არიან ახალგაზრდები.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დაგემოვნების შემდეგ, ევროპელმა მაგისტრანტებმა ვრცელი ინტერვიუ აიღეს ბატონი ჯანვერდი ცეცხლაძისაგან. მოეწონათ მასპინძლის ხედვები და იუმორი.

ევროპელ სტუმრებს, ბატონ ჯანვერდი ცეცხლაძესთან ერთად მასპინძლობას უწევდნენ „ელკანას“ ოზურგეთის წარმომადგენლები, ბატონები რეზო და ჯაბა ჭეიშვილები.

სტუმრების თქმით, გოგიეთის ეკომუზეუმით ნებისმიერ ქვეყნის ნებისმიერი ტურისტი დაინტერესდება და მას დიდი პერსპექტივა აქვს ამთავითვე დაიკავოს თავისი ადგილი გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში.

საბანკეტო ინციდენტი

თეატრის თემაზე განვაგრძობთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარმგნელის ვაჟა ჭანუყვაძის პუბლიკაციების ბეჭდვას. ამჯერად გთავაზობთ ფრაგმენტს ავტორისეული მოგონებებიდან „საბანკეტო ინციდენტი“.

გაზეთის რედაქციაში: (მარცხნიდან) ელ. შევარდნაძე, გ. ჭელიძე, ვ. ჭანუყვაძე, თ. სალუქვაძე: სხედან — ლ. სიმონიშვილი, გ. ლიმინაძე

1975 წლის სეზონზე თეატრში ოტია იოსელიანის პიესას „სანამ ურემი გადაბრუნდება“ ვდგამდით. ვასილ რცხილაძე ერთ-ერთი იმ მოხეტიალე რეჟისორთაგანი იყო, რომლებსაც საკუთარი კერა არ გააჩნიათ და საქართველოს ყველა თეატრში ცდილობენ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭის გაშლას. ეს ხან რომელიმე თეატრის ინიციატივით ხდებოდა და ხანაც თვით რეჟისორის მოწადინებით, ხოლო ზოგჯერ კულტურის სამინისტროს დავალებითაც...

იმხანად გაზაფხული იდგა. აყვავებული ხეხილის სურნელი ადამიანს პოეტურად განაწყობდა.

— .იმ დილით თბილისში დავრეკე და თეატრების განყოფილების მაშინდელ გამგეს ანზორ ქუთათელაძეს ველაპარაკე.

სამხატვრო საბჭოს აზრით, ახალი სპექტაკლი ნორმალური უნდა გამოსულიყო... როდესაც ჩაბარების თარიღი დავუსახელე, ბატონმა ანზორმა მითხრა, იმ დღეებში ბათუმის თეატრის გასინჯვაც („თვალი პატიოსანი“)იგეგმებოდა, დრო კი არ ითმენდა...

როგორც გვჩვევია, ეს ამბავი უსათუოდ უნდა აღგვენიშნა.

მაშინ ბანკეტები მართლაც მოდაში იყო და გადავწყვიტეთ სტუმრებს მაღალ დონეზე დავხვედროდით. დილითვე დავურეკე რაიონის ხელმძღვანელ პირებსაც. მათ ზედმიწევნით ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე სპექტაკლის მიღებას დასწრებოდნენ. მე თვითონ ბათუმში წასვლა და სტუმრებთან იქ შეხვედრა გადავწყვიტე (თანაც სპექტაკლს ვნახავდი, რომელსაც ჩვენი მეგობარი ენვერ ჩხაიძე ახორციელებდა).

ოტია იოსელიანთან ადრევე მქონდა საუბარი...

ვიხმე თეატრის მხატვარი მამია თუთაიშვილი და ვუთხარი:

—შენ შედარებით უფრო გამოთავისუფლებული ხარ და დღეიდან აბა, შენ იცი, როგორ დატრიალდები... საღამოთი კარგი ბანკეტი უნდა გავმართოთ... მიდი რესტორან „იზაბელაში“ და გააფრთხილე, საღამოსთვის სუფრა მოგვიმზადონ!.. წინა დარბაზი მთლიანად დაგვჭირდება, სულ ალბათ 20 ადამიანი ვიქნებით სტუმარ-მასპინძლიანად...

მამიამ მიიღო დავალება და დამაშვიდა, არ ავღელვებულიყავი...

ამასობაში ერთი ძვირფასი სტუმარიც გვეწვია. ეს გახლდათ ჟურნალისტი ზურაბ რცხილაძე. იგი თურმე რეჟისორ ვასო რცხილაძის ალალი ბიძაშვილი ყოფილა და ვასოს მოუხერხებია მისი დაპატიჟება. ისიც მაშინვე წამოსულა მატარებლით.

ძალიან გამიხარდა ზურას დანახვა. ერთ პერიოდში ვსწავლობდით უნივერსიტეტში. იგი განთქმული იყო როგორც თავისი უზადო გარეგნობით, ასევე მომჯადოებელი ხმით. შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და განსაკუთრებით კარგად მღეროდა ნეაპოლიტანურ სიმღერებს. ერთ ხანს, ვიდრე მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს ჟურნალისტიკაში, ფილარმონიაშიც მოღვაწეობდა და გასტროლებს ატარებდა არამარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქებშიც. ერთხელ ოზურგეთშიც ჩამოვიდა და ბრწყინვალე კონცერტიც ჩაატარა. მაშინ მე და ნუგზარ ქინქლაძემ ვუმასპინძლეთ (ბატონი ნუგზარი „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი გახლდათ).

ასე რომ, დამდეგი ბანკეტისთვის სათანადო პირობები მზადდებოდა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მოკლედ მოვჭრი, რომ სტუმრებს ბათუმში შევხვდი, სპექტაკლის მიღებასაც დავესწარი (პრემიერა დღისათვის დაინიშნა და სტუმრებთან ერთად ოზურგეთში წამოვედით). რა თქმა უნდა, ენვერიც დავპატიჟე, მაგრამ მან სამუშაო მოიმიზეზა, რადგან განხილვაზე ბატონმა გურამმა სერიოზული შენიშვნა მოგვცა და მათ რეალიზაცია სჭირდებოდა.

როგორც კი თეატრში მივედით, მაშინვე მოვიკითხე სპექტაკლის ჩვენებისათვის მზადყოფნის საკითხი და რომ დამაიმედეს, მერე მამია თუთაიშვილს მივაკითხე...

იმანაც მანუგეშა: რესტორანი გაფრთხილებულია და მზად დაგვხვდებიანო...

„სანამ ურემი გადაბრუნდება“ ნორმალური სპექტაკლი გამოდგა და სამხატვრო საბჭოს სხდომაზე მკაცრი შენიშვნებიც არ მიუღია.

მიუხედავად აღნიშნულისა, სხდომა გაჭინაურდა და ნავარაუდევზე გაცილებით გვიან დამთავრდა.

სტუმრებიც და შინაურებიც რესტორან „იზაბელასკენ“ გავემართეთ...

შორიდან დიდ დარბაზში სინათლეები არ ჩანდა, ხოლო ახლოს რომ მივედით, ზედ დიდი ბოქლომი ედო!..

ელდა მეცა: რესტორანი ასე ადრე არასდროს ამთავრებდა მუშაობას...

მამიას დავუძახე, - როგორც ლამპიონის მქრქალ შუქზე გავარჩიე, ფერი ჰქონდა დაკარგული...

-ესაა შენს მიერ ორგანიზებული საქმე?- ხმადაბლა კიდევაც შევუყვირე.

მამიას ისედაც ებმოდა ენა და ახლა სულაც წაერთვა...

სტუმრებს გადავხედე.

გურამის ორი ქუთაისელი ახლდა... ანზორ ქუთათელაძემ და სხვებმაც დამამშვიდებლად გამიღიმეს...

რომან ლომინაძემ მითხრა:

—ბატონო ვაჟა, ოცი კაცის ღვინო კი მაქვს სახლში, სახელდახელოდ პურსა და ყველსაც გამოვძებნი, ცოტაოდენ მჟავეს, კიდევ რაღაებს... ანიჩქას არაფერი არ გამოუწყდება და თავს არ შევირცხვენთ!..

მშვენივრად ვიცოდი მათი ოჯახის სტუმართმოყვარეობის ამბავი, მაგრამ ცოცხალი თავით არ მინდოდა საქმე აქამდის მისულიყო... რესტორნის სამზარეულოს გარედან მივადექით, სადაც შუქი ენთო და კარზე დავაკაკუნე. მზარეულმა გამოიხედა, ეტყობა დილისთვის ხაშს წმენდდა. მიცნო და მისატვედურა:

—მგონი კი იყო ლაპარაკი თქვენს ბანკეტზე, მაგრამ რახან დაიგვიანეთ, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ...

—ახლა გვაქვს რაიმე?

—ყველაფერი გვაქვს, მაგრამ მარტო მე რას ვიზამ... თუ მებუფეტეს და ერთ ოფიციანტს მოიყვანთ, გავახშმებთ...

ისევ სტუმრებს მივაშურე, რომლებიც მხიარულად მუსაიფობდნენ... მათ საქმის ვითარება ავუხსენი: მხოლოდ ნახევარი საათი გვაჩუქეთ-მეთქი... მერე ჩვენი მძღოლი ოთარ ელიაძე და ადმინისტრატორი რეზო სარიშვილი ვიხმე, ჩემი „მოსკვიჩი“ გავატანე და ოფიციანტის მოყვანა დავავალე: რომც ეძინოთ, წამოყარეთ და უსათუოდ წამოიყვანეთ... თუ დაგჭირდეთ, რაიონის მესვეურთა ავტორიტეტიც მოიშველიეთ-მეთქი!..

საბედნიეროდ, ორივე „ძებნილი“ სახლში აღმოჩნდა... ბუფეტი გაიღო, სამზარეულოში საჭმელები შეათბეს, დამხმარეებად მსახიობები შეგვემატენ და დიდებული სუფრაც გაიშალა.

მალე საბანკეტო დარბაზი სანახევროდ შეივსო (ასე, ოცდაათ კაცამდე იქნებოდა)...

ცოტათი რომ შევნაყრდით, ჭიქა ავიღე და დამსწრეთ ასე მივმართე:

—იმედია, გვაპატიებთ მცირეოდენ გაუგებრობას!.. ისედაც დაღლილები გალოდინეთ, ხოლო მე ნერვები დამაწყდა!.. ამიტომ, ნურსად ნუღარ

გვ-6

საბანკეტო ინციდენტი

ვიჩქარებთ, მოვილხინოთ, როგორც ეს ქართველთ წესია!.. სუფრის გაძღოლას ბატონ ნოდარ მდინარაძეს ვთხოვ...

ყველამ ერთხმა დამიჭირა მხარი...

მალე, რომ იტყვიან, ჰაერი შეხურდა და როცა თეატრის ბიჭებმა ამირან ქადეიშვილმა, გივი ახმეტელმა, ომარ ურუშაძემ, გაბო მდინარაძემ, ნუგზარ ბარამიძემ და სხვებმა მრავალჟამიერი შემოსძახეს, დარბაზში საერთო, გადამდებმა სიხარულმა დაისადგურა.

ომარ ურუშაძემ თავისი განუყრელი გიტარა მიართვა ზურა რცხილაძეს, რომელმაც ნეოპოლიტანური ჰანგები ააჟღერა. მერე ყველა ამღერდა...

გურამ ფანჯიკიძეს მანამდის არ ვიცნობდი. იშვიათად მინახავს ასეთი გაწონასწორებული და თავმდაბალი პიროვნება... მის მიერ წარმოთქმული თეატრის კოლექტივისა და ოზურგეთელი მაყურებლის სადღეგრძელო განუმეორებელი მოსასმენი იყო. მსმენოდა ისიც, რომ ბატონ გურამს არ ათრობდა ღვინო...

განშორებისას ბატონმა გურამმა გადამკოცნა და მითხრა:

–დიდი ხანია, ასე გემრიელად არ მიქეიფია... უსათუოდ ჩამოვალ, როცა ჩემ პიესას დადგამთ!..

დრო შეუმჩნევლად გადიოდა საერთო მხიარულებასა და ქეიფში და კიდევაც დაგვათენდა... უკვე გამოჩნდნენ ხაშის მოყვარულებიც...

ჩვენ შემდგომში დავდგით „თვალი პატიოსანი“ და ერთგვარი წარმატებითაც, ოღონდაც ბატონი გურამი მოუცლელობის გამოისობით აღარ გვწვევია...

გურამ ფანჯიკიძე ელვესებურად შემოიჭრა ქართულ მწერლობაში... ეს იყო რუტინის, დახავსების პერიოდი, როცა იწყებოდა ხელმძღვანელ მუშაკთა გადაგვარება...

გურამ ფანჯიკიძე ერთ-ერთი პირველი იყო ქართველ მწერალთა შორის, რომელიც დაურიდებლად ამხელდა ახლად ფეხმოკიდებულ კორუფციულ სისტემას...

„თვალი პატიოსანი“ ჩვენს თეატრში, მართლაც რომ იტყვიან, ცხელ კვალზე დაიდგა და ეს დადგმა ჩვენმა მეგობარმა ენვერ ჩხაიძემ განახორციელა.

მადლობა ბატონ მერს

დევნილობის მძიმე ხვედრი კეთილი ადამიანების გულისხმიერებამ გადაგვატანინა. დევნილთა და განსახლების სამინისტრომ სახლი შეგვიძინა ჩემი დის, ელიკო ქიშმარიასთვის, რომელიც არის შშმ პირი. მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ. გულთბილი მიღების, ყურადღებისა და დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ბატონ **ბეგლარ სიორიძეს**, ვიცე მერს, ბატონ **ალეკო ბურჭულაძეს**. უფალი შეგეწიოთ და შეგაძლებინოთ კიდევ მრავალი კეთილი საქმის კეთება.

პატივისცემით
ნელი ქიშმარია.

იყიდება

სოფელ ბაილეთში თხილით გაშენებული 0,82 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კაპიტალურად შეღებილი ხის „კუხნა“ სახლით. პერსპექტიულია სამოსახლოდ და მეურნეობისათვის. 250 ძირი თხილი მსხმოიარეა, 150 ძირი – 2 წლის.

დაგვიკავშირდით: (599) 44 15 49; (599) 03 94 95 (იკითხეთ თამაზი)

„ბახმაროს“ „ლესიჭინე“ დაეწია, „მერცხალმა“ სამი მატჩი წააგო

ალიონი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონლიგაში („ა“ ჯგუფი), მეორე წრის 3 ტური გაიმართა. ჩოხატაურის „ბახმაროს“ სამ მატჩში 5 ქულა (1 მოგება, 2 ფრე), დაუგროვა და ამჟამად 41 ქულა აქვს. სამაგიეროდ სამივე მატჩი მოიგო ჩხოროწყუს „ლესიჭინემ“ და მასაც 41 ქულა აქვს.

სამწუხაროდ, სამივე მატჩი წააგო ოზურგეთის „მერცხალმა.“ პირველ ტურში ხონში წაგო „იმერეთი 2“-თან 2:4, შემდეგ შინ მარტვილის „სალხინოსთან“ 2:3; ხოლო ბოლო ტურში „ლესიჭინესთან“ 0:1.

„მერცხალს“ 17 ტურის შემდეგ (6 მოგება, 2 ფრე, 9 წაგება, ბ/შ 29: 30) 20 ქულა აქვს და კვლავ მე-8 ადგილზე იმყოფება.

ხსოვნა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის პედაგოგს მანანა ჯახუტაშვილს, ძმის, **ნუგზარი ჯახუტაიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ლიხაურის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **ნონა დოლიძე-ურუშაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ბაილეთის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, კეთილშობილი პიროვნების **ნევრო როყვას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის პედაგოგს მანანა ჯახუტაშვილს ძმის, **ნუგზარი ჯახუტაიშვილის** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი



№ 35-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ვახტანგ ჩხარტიშვილი; ბალახზე დაყენებული არაყი — აბეკამაქი; ვაჟის მაყრების უფროსი — ეჯიბი; უბანი თბილისში — ისანი; ძროხის ინგლისური ჯიში ჯერსი; დიდი დასახლებული პუნქტი — ქალაქი; ფიცრის თარო — იკორთა; ქალის სახელი — ნანი; სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში — იანეული; სიგრძის საზომი ერთეული — ვერსი; კომში — ბია; ფიცი — ზენაარი; სამიანი ნარდში — სე; ოჯარა — კაბალა; სასჯელის სახეობა — ვირზე შესმა; ძვირფასბეწვიანი ცხოველი — ნუტრია; ალამი — დროშა; არაბი დიდებული — შეიხი; ... განდი — ინდირა; ქართველი ებრაელი სპორტული კომენტატორი — ხუსაშვილი; მამაკაცის სახელი — ესე; ძველმანების გამყიდველი — მატრაბაზი; დასარტყმელი ინსტრუმენტი — დაირა; უხარისხო ტყავი — მეში; დოქი — სურა; ანბანის მე-6 ასო — ვ; იტალიური ტელეკომპანია — რაი; ქართველი დიდგვაროვანი — ათაბაგი; პირდაპირი ეთერი — ლაივი; პურის სალეწი იარაღი — კევრი; დასტური — კი; ერთგვარი მღრნელი — სინდიოფალა; ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — ოშკი; შხამიანი მწერი — ბაზი; ცუდი — აუგი; დინამოს ბერძენი ფეხბურთელი — ილიადი; მესამე ნოტი — მი; ბუვიეს რომანი — იზა; ქალის სახელი — ირა.

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	მერია	26.05.27.109	250	12,50	6,25	50,00	125,00
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლიხაური	26.16.22.151	2 700	135,00	67,50	50,00	1350,00
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლიხაური	26.16.16.126	1 547	77,35	38,68	50,00	773,50
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები, ლეკიანი*	26.36.03.059	7 000	350,00	175,00	50,00	3500,00
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.71.077	2 500	125,00	62,50	50,00	1250,00
6	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ურეკი	26.28.21.116	10 000	500,00	250,00	50,00	5000,00
7	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გურიანთა	26.06.24.233	2 930	117,20	58,60	50,00	1172,00
8	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ჭანიეთი	26.15.08.203	2 200	110,00	55,00	50,00	1100,00
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.02.23.175	2 140	107,00	53,50	50,00	1070,00
10	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები**	26.01.51.236	200	800,00	400,00	50,00	8000,00
11	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გურიანთა	26.06.27.139	3 400	170,00	85,00	50,00	1700,00
12	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გურიანთა	26.06.27.138	2 500	125,00	62,50	50,00	1250,00
13	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ურეკი	26.28.20.125	3 000	150,00	75,00	50,00	1500,00
14	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წასაკირალი	26.29.22.091	8 751	437,55	218,78	50,00	4375,50
15	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა**	26.34.01.303	200	400,00	200,00	50,00	4000,00
16	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა**	26.34.01.307	590	1180,00	590,00	50,00	11800,00
17	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ურეკი	26.28.21.117	15 000	750,00	375,00	50,00	7500,00
18	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წასაკირალი	26.29.12.041	2 484	124,20	62,10	50,00	1242,00
19	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.02.16.077	1 300	65,00	32,50	50,00	650,00
20	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წასაკირალი	26.29.28.148	1 700	85,00	42,50	50,00	850,00

* - მიწის ნაკვეთი მდებარეობს რეკრიაციულ ზონაში

** - მიწის ნაკვეთი მდებარეობს საკურორტო-რეკრიაციულ ზონაში

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს ვადაგაგრძელებულ აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო მიწა, მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, (შენობის ფართი - 274 კვმ)	სოფ. გურიანთა	26.06.24.182	436	1040,00	520,00	50,00	10400,00
	ჯართი							
№	**დასახელება**	**მდებარეობა**	**„ბე“ 10 % (ლარი)**		**„ბიჯი“ 5 % (ლარი)**		**მონაწილის ბილეთი (ლარი)**	**საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)**
1	ამორტიზებული ელტექნიკა 51 ერთეული - ჯართი ***	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	150,00		75,00		50,00	1500,00
2	ლითონის შავი ჯართი ***	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	64,00		32,00		50,00	640,00

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;

„ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი;

"მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე **300903205;**

"„ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე: **300908800;**

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 18 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის 12 სთ-მდე;"

აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 17 ოქტომბერს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;

"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“

ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

თეატრი ადგილია, სადაც უნდა დაფიქრდე

ინტერვიუ შეკითხვების გარეშე ოზურგეთის თეატრის მოწვეულ რეჟისორთან

ირაკლი გურგენიძე: პირველი, პროფესიით ექიმი ვარ, სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრე. შემდეგ დავამთავრე თეატრალური უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის ლევან თუთბერიძის ჯგუფი. სანამ თეატრალურში ჩავაბარებდი, 8 წლის მანძილზე ვიყავი მოძრაობის თეატრის „იმპროს" მსახიობი. გადაღებული მაქვს რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი და სარეკლამო რგოლი. სპექტაკლი, რომელზეც ახლა ვმუშაობ, იქნება ჩემი რიგით მეოთხე პრემიერა.

ყველაზე გამორჩეული და ჩემთვის ყველაზე საყვარელი სპექტაკლი გახლავთ თუმანიშვილის თეატრში განხორციელებული „დაგვიანებული ჩაი“ სელმა დიმიტრევიჩის პიესის მიხედვით, რომლის თარგმანი და ინსცენირება მე თვითონ გავაკეთე და ძალიან საინტერესო ჯგუფთან ვიმუშავე.

ახლახანს ბათუმის მონოპიესების ფესტივალში მივიღე მონაწილეობა დათო ტურაშვილის პიესით და ალტერნატიულ სივრცეში მონოსპექტაკლი „ხაშურის სევდა“ წარმოვადგინეთ.

ოზურგეთში ვაკეთებთ ზურა პაპიაშვილის პიესას „თევზში“, რომელიც საინტერესოა ფორმით, შინარსით, არის მისტიკური კომედია, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ადამიანის მარტოობა და მასთან სხვადასხვა ხერხით ბრძოლა. ეს არის იუმორით გაკეთებული თანამედროვე პიესა. არის საინტერესო თემები, სახასიათო გმირები.

ძალიან მიხარია, რომ ვმუშაობ ოზურგეთში. უცხო გარემოში მუშაობა საინტერესოა და არის ამაში ერთგვარი შემოქმედებითი აზარტი. აქ ვხედავ ძალიან დიდ პოტენციალს. მიხარია, რომ ასეთ გარემოში მოვხვდი —ვგულისხმობ თეატრის ადმინისტრაციას და შემოქმედებით კოლექტივს. ყოველი დღე არის სავსე ახლის ძიებითა და აღმოჩენით. ჩვენს განსხვავებულ აზრებშია ბედნიერება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ შეიკრა თანამოაზრეების გუნდი, რაც ძალიან სასიამოვნოა. პირველად მიწევს მუშაობა ძალიან საინტერესო მხატვართან სერგო შივცთან, ვფიქრობ, კარგი შემოქმედებითი ტანდემი შედგება.

უცნობ დასთან მუშაობა რთულია, თან არ ვიცნობ ოზურგეთის მაყურებელს. ვეცადე ამერჩია საინტერესო და ნაკლებად რთული პიესა. ზოგადად, ქართულ თეატრს აკლია კომედიური სპექტაკლები. ვფიქრობ კომედიის ჟანრშიც შეიძლება აქტუალური თემები მოიძიოს და წამოწიოს რეჟისორმა. მით უფრო, რომ ქართველ მაყურებელს უყვარს კომედია და აინტერესებს ქართული თანამედროვე დრამატურგია, სადაც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს თემებისა და ფორმის ძიება. მნიშვნელოვანია რეჟისორებმაც აქტიურად ავირჩიოთ ეროვნული დრამატურგიის მიერ დანახულ, ქართველი მაყურებლისთვის „ახლობელ“ სიუჟეტებზე და პრობლემებზე. ქართული დრამატურგიის განვითარება მნიშვნელოვანია.

კომედია რთული და პრეტენზიული ჟანრია. სამუშაოდ ბევრად მარტივია ტრაგედია, დრამა, რაც ბევრად უფრო ესადაგება ჩვენს პრობლემურ დღევანდელობას და მაყურებლისთვისაც აღსაქმელად უფრო ადვილია, რადგან ჩართულია თანაგრძნობით, ემოციით.

რთულია იგივე პრობლემებზე იუმორით საუბარი. კომედია საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ პრობლემებისაგან დისტანცირება, გვერდიდან დანახვა, შესაბამისად მეტია ფიქრი, გადაჭრის გზების ძიება.

მაყურებლის ჩართულობა და ემოციით დამუხტვა არის თეატრის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება, ამავდროულად თეატრმა უნდა გიბიძგოს ფიქრისკენ, აზროვნებისკენ. ჭკუას ვერავის ასწავლი, მაგრამ თუ შესთავაზებ ალტერნატიულ აზრს და პრობლემისაგან დისტანცირებას მოახდენ, მაყურებელში იბადება პრობლემის გააზრების იმპულსი, ეს თეატრის, ხელოვნების მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

ყველა დროს მოაქვს თავისი ესთეტიკა, დღეს ბევრ ინფორმაციას ვიღებთ, ბევრი დრო აღარ გვრჩება და თეატრიც უნდა მოერგოს ამ აჩქარებულ რიტმს. მაყურებელი დღეს მოითხოვს მრავალფეროვნებას, ლაკონურ თხრობას.

იყო პერიოდი, როცა სპექტაკლის დეკორაცია ლამის კინოს დონის რეალიზმს აღწევდა. დღეს პირიქით, რეკვიზიტი თუ დეკორაცია უფრო კონცეპტუალური, მინიმალისტური და ქმედითია. თეატრი ცოცხალი ხელოვნებაა და მუდამ უნდა გეძოს ხელი ცხოვრების მაჯაზე, გრძნობდე საზოგადოებას, გემოვნებასაც და რითმსაც. ეს განსაზღვრავს შემოქმედებას თეატრში.

ჩაიწერა
ლია კილაძემ

„გასეირნება „ჭადრების ბაღში“

ალიონი. საზაფხულო არდადეგების ბოლო დღეებში ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა სიურპრიზი მოუწყვეს ახალგაზრდებს. ამიერიდან კინოთეატრ „ოზურგეთის“ წინ, სადაც ახალგაზრდების ხშირი შეხვედრების ადგილია არასასურველი გარემო არ დახვდებათ, იგი სამხატვრო სკოლის ბავშვებმა გაალამაზეს.

სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ გუჯაბიძემ, ნინო ლომჯარიამ, შოთიკო სკამკოჩაიშვილმა, ნინო გულხადარაშვილმა, აკაკი შავიშვილმა, ეკატერინე ტოტოჩავამ, ნია გუჯაბიძემ და შალვა ზედგინიძემ ორი დღე იმუშავეს კინოს შესასვლელის მოხატვაზე.

—გვინდოდა ახალგაზრდების თავშეყრის ადგილას არასასურველი გარემო არ დახვედროდათ ჩვენს თანატოლებს, უფროსებს, ამიტომ მოვხატეთ —გვითხრა სამხატვრო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე მარიამ გუჯაბიძემ.

ამ კარგ საქმეში მათი მასწავლებლები მირანდა ვანიძე და თამაზ დარჩიაც მონაწილეობდნენ.

მილოცვა

იუბილარ **ბაბუცა აბრამალაძეს**

გამარჯობა, დიდო! — შენ ყოველთვის ასე ესალმები ყველას — დიდსა თუ პატარას სიყვარულითა და დიდი სითბოთი.

ახლა მე მოგესალმები ასე და თან დაბადების დღესაც მოგილოცავ.

განვლილი 90 წლის მანძილზე ბევრი განსაცდელი გაქვს გადატანილი. ხელმარცხ დედამ სამი შვილი გაზარდე, გახარებული ხარ შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით, მათი მხრიდან ამაგის დაფასებით.

სამომავლოდ მინდა გისურვო ჯანმრთელობა და ბედნიერი დღეების სიმრავლე.

გულსუნდა მახარაძე

შპს „გზამშენი – 18“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

იყიდება

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში
300-კაციანი
საბანკეტო დარბაზი.
დაგვიკავშირდით:
მობ. (514) 03 80 03.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“
ოზურგეთის ფილიალი გილოცავთ
ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

18 სექტემბერი	ორშაბათი	მზე, +20+32
19 სექტემბერი	სამშაბათი	მზე, ღრუბელი +20+29
20 სექტემბერი	ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +18+30
21 სექტემბერი	ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი +18+30
22 სექტემბერი-	პარასკევი	მზე, +19+27
23 სექტემბერი	შაბათი	წვიმა, +17+25
24 სექტემბერი	კვირა	წვიმა +12+17